



„ვამტკიცებ“

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორი

_____ თ.ვარშანიძე

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2018 წლის 28 დეკემბრის N10 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და
ევაკუაციის წესი

ნდ 2-01-13 ქ

ბათუმი

2018



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი

1. შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი (შემდგომში - წესი) აწესრიგებს კოლეჯში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ევაკუაციის წესებს.
2. ამ წესის მიზანია:
 - ა) პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა;
 - ბ) შენობა-ნაგებობების და ქონების დაცვა.
3. სასწავლო კორპუსების ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომლის დაცვაც სავალდებულოა კოლეჯის ყველა თანამშრომლისა და პროფესიული სტუდენტისათვის.
4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის სასწავლო კორპუსებში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
5. რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში კოლეჯის შესაბამისი პერსონალი ვალდებულია დაიცვას პირველყოფლისა პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება და შემდეგ იზრუნონ საკუთარი თავის და კოლეჯის ქონების დაცვაზე.
6. რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან დაემორჩილონ თანამშრომლების მითითებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალება.
7. წესები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტით გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებულ სხვა წესებში.

1. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. კოლეჯის დაცვაზე პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოების მენეჯერი და დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ექვემდებარებიან დირექტორს.
2. მათი მოვალეობაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვან კოლეჯის ქონება და უზრუნველყონ სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა;
3. კოლეჯის დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში.



4. უსაფრთხოების მენეჯერი ექვს თვეში ერთხელ უზრუნველყოფს კოლეჯის შემოწმებას დაცვის კუთხით და ახდენს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას;
5. უსაფრთხოების მენეჯერი/დაცვის თანამშრომელი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გარკვეული სახის დარღვევაზე რეაგირებას და საჭიროების შემთხვევაში იძახებს პატრულს.
6. უსაფრთხოების მენეჯერი/დაცვის თანამშრომელი ვალდებულია:
 - ა) ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს;
 - ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;
 - გ) ხელი შეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;
 - დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების, პერსონალის და კოლეჯის შენობაში მყოფი სხვა პირების კოლეჯიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
 - ე) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს დოკუმენტაციის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსება.
 - ე) უზრუნველყოს კოლეჯში უსაფრთხოების წესების დაცვა სწავლის პროცესში.

2. ევაკუაცია/ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

1. აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა, კოლეჯის ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლის მეთვალყურეობის გარეშე.
2. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები კვარტალში ერთხელ გადიან ინსტრუქტაჟს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ.
3. კოლეჯის შენობაში განთავსებულია ხანძარჩამქრობი მოწყობილობა და საევაკუაციო გეგმა.
4. ევაკუაციის ნიშანის შემთხვევაში სახეზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.
5. კოლეჯის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას კოლეჯის ქონება და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა.
6. ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვებენ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.
7. თუ გადაწყვეტთ არ დატოვებთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:



- ა) თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
- ბ) უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
- გ) უაცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
8. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:
- ა) შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
- ბ) თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
- გ) იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
9. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
10. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოდრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები
11. შშმპ პროფესიული სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ კოლეჯის პერსონალს.
12. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ კოლეჯის პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.
13. გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამომახების ერთიანი სატელეფონო ნომერია 112.
14. 112-ზე დარეკვა უფასოა.
15. 112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი.